იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში

№11

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11

თბილისი
2023

ანგარიში მომზადებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „Monitoring of the Judiciary" ფარგლებში. მასში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს საელჩოს პოზიციას.

Kingdom of the Netherlands

კვლევის ხელმძღვანელი: ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: ნინო ნოზაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2023, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია 4

მიგნებები 5

1. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ძალაუფლება 7

1.1. იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება - გამოწვევები 7

1.2. იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა 8

1.3. კონფერენციის მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებები 10

1.4. იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა 10

2. სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა – რამდენად პასუხობს ის სისტემაში არსებულ გამოწვევებს 13

3. მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნა 14

3.1. კონკურსის წესით გამოსაცდელი ვადით დანიშვნა 14

3.2. კონკურსის წესით მოსამართლეთა დანიშვნა 14

3.3. კონკურსის წესით სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ დანიშვნა 16

3.4. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა 17

3.5. მოსამართლეების გადანიშვნა და დაწინაურება 17

3.6. მივლინება 18

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლა: იუსტიციის საბჭოს გავლენები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები 19

5. ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეები 20

5.1. თავმჯდომარეების როლი და გავლენები 20

5.2. სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევა 20

5.3. პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეებისა და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა 24

6. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა 25

6.1. საკანონმდებლო ხარვეზები 25

6.2. ინსპექტორის დასკვნები 25

6.3. საბჭოს გადაწყვეტილებები 26

6.4. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა 28

7. საბჭოს ორგანიზება და გამჭვირვალობა 29

7.1. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება 29

7.2. სხდომების მომზადება 30

7.3. სხდომის მართვა 31

7.4. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება 31

რეკომენდაციები 33

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და სუბიექტები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო („საბჭო“) საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციური ორგანოა.[1] მისი ფუნქციაა სასამართლოების დამოუკიდებლობა-ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა დანიშვნა-გათავისუფლება და სხვა ამოცანების შესრულება.[2] საბჭო, ფაქტობრივად, სრულად მართავს საერთო სასამართლოების სისტემას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია („საია“) 2012 წლიდანაა ჩართული საბჭოს მონიტორინგის ანგარიშების მომზადებაში და ყოველწლიურად აფასებს მის საქმიანობას. წარმოგიდგენთ №11 ანგარიშს, რომლის მიზანია საბჭოს მუშაობის დადებითი თუ უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს ამ უწყების ეფექტიანობის გაზრდას, მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასა და მიუკერძოებლობას.

კვლევის ინსტრუმენტები და წყაროები

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

დოკუმენტში გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოში არსებული ნორმატიული ჩარჩო, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მიღებული და საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები;
- საბჭოს სხდომებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე საიას მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

საია ასევე ეყრდნობა წარსულში გამოცემულ ანგარიშებსა და კვლევებს, რომლებიც სასამართლო სისტემას აფასებს. გაანალიზდა საერთაშორისო ორგანიზაციების - ევროპული კომისიის სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის („ვენეციის კომისია“), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტები (გზამკვლევები, ანგარიშები, შეფასებები და სხვა), როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულად საქართველოს მიმართ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[2] იქვე.

მიგნებები

ევროკომისიამ 2022 წლის ივნისში საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის შესახებ ინდივიდუალური დასკვნები გამოაქვეყნა, რომლითაც საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და, იმავდროულად, 12 პირობის შესრულება დაევალა. ამ პირობებს შორის ძირითადი ადგილი სასამართლოს რეფორმას უჭირავს.[3] ამ ფონზე, სასამართლო სისტემის მთავარ გამოწვევად კვლავ კლანური მმართველობა რჩება, რასაც ხელს უწყობს საბჭოს წევრების შერჩევის მოქმედი წესი. იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო პარტნიორები სასამართლო სისტემისა და საბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობენ, ხელისუფლებამ, ძირეული რეფორმების გატარების ნაცვლად, უფრო მეტად წაახალისა კორპორატივიზმი საბჭოში. კანონში 2021 წლის ბოლოს მიღებული ცვლილებით გაუქმდა საბჭოს წევრად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვა. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს შემადგენლობაში, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან, ეს ცვლილება ცალსახად უარყოფითად შეფასდა. ვენეციის კომისიამ, დიდწილად, გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული შეფასებები და ხაზი გაუსვა ამ კრიტიკის მნიშვნელობას სასამართლო სისტემის რეფორმის გარშემო არსებული კონტექსტის შეფასებისას.[4]

საანგარიშო პერიოდში ეს ნორმა პრაქტიკაში განხორციელდა და დიმიტრი გვრიტიშვილი ზედიზედ მეორედ აირჩიეს საბჭოში მას შემდეგ, რაც უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეიწყვიტა იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრმა გოჩა აბუსერიძემ.

პარლამენტმა, ევროკომისიის მოთხოვნის გათვალისწინებით, წლის ბოლოს, წელიწად-ნახევრის დაგვიანებით, საბჭოს 5 არამოსამართლე წევრის ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა. თუმცა, კენჭისყრა საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო, ვინაიდან პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. საბჭო საანგარიშო პერიოდში 10-კაციანი შემადგენლობით აგრძელებდა მუშაობს, რამაც პრაქტიკული პრობლემები შექმნა. კერძოდ, სამი მოსამართლე, რომლებიც სამწლიანი გამოსაცდელი ვადით იყვნენ დანიშნულები, არამოსამართლე წევრების საკმარისი რაოდენობის არყოფნის გამო, ვერ შეაფასეს. საბჭომ უვადოდ მათ გადანიშვნაზე მსჯელობა ვერ შეძლო.

4 ნოემბერს მმართველმა პარტიამ საკანონმდებლო ცვლილებები დააინიციირა, თუმცა ის ვერ პასუხობდა სისტემაში არსებულ ძირითად გამოწვევებს. პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ საბჭო საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად იყენებს როგორც ხარვეზებს, ისე პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებებს. ამის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ „კლანი“ საბჭოში გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ხმების 2/3-ს აკონტროლებს. ნათელია, რომ სიღრმისეული ცვლილებების გარეშე ცვლილებები ფასადურია. იმავდროულად, მას საქმეს უადვილებს პროცედურები, რომლებიც კვლავ შეიცავს ხარვეზებს:

- მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისას არ არის განსაზღვრული გამჭვირვალე პროცედურა. საბჭო არ აქვეყნებს ინფორმაციას პროცესის დაწყების, მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ;

[3] The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status, 17 June 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3n8hviB, განახლებულია: 12.01.2023.

[4] Opinion on the December 2021 amendments to the organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 131st Plenary Session (Venice, 17-18 June 2022), CDL-AD (2022)010-e Georgia, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tSfb3a, განახლებულია: 12.01.2023.

- მივლინების შეცვლილმა წესმა (მივლინების ვადა გაიზარდა 4 წლამდე. ამასთანავე, საბჭოს აღარ სჭირდება მოსამართლის თანხმობა სხვა სასამართლოში მისი მივლინებისას. ეს, შესაძლოა, განხორციელდეს მართლმსაჯულების ინტერესის მოტივით, თუმცა კონკრეტული გარემოებების მითითება, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს ამ ტერმინში, საბჭოს აღარ ევალება. ასევე, შესაძლებელი გახდა აპელაციის მოსამართლის მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში) საბოლოოდ გამოაჩინა, რომ ხელისუფლება მის მიერ მიღებულ პოზიტიურ ცვლილებებსაც კი აუქმებს და „კლანს“ ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზეწოლის სამართლებრივ ბერკეტებს აძლევს.
- კვლავ პრობლემურია სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისა და თავმჯდომარის შერჩევის პროცესში იუსტიციის საბჭოს ფართო როლი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საბჭოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსი, უკვე ორი წელია, არ გამოუცხადებია, რაც ხელს უშლის სისტემაში ახალი კადრების შედინებას.

საბჭოს ძალაუფლების ერთ-ერთი ბერკეტი თავმჯდომარეები არიან. „კლანის“ ყველა გავლენიან წევრს სასამართლო სისტემაში მუდმივად უჭირავს მნიშვნელოვანი თანამდებობა. ისინი ამ თანამდებობებს ერთმანეთს უცვლიან, რაც სხვა მოსამართლეებს არ აძლევს სასამართლოს მენეჯმენტში ჩართვის შესაძლებლობას. ამის ილუსტრაციაა საანგარიშო პერიოდში სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეთა ქაოსური და ბუნდოვანი დანიშვნის პრაქტიკა. წლებია, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა მოსამართლეების მიერ სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევის წესმა. კანონის ჩანაწერს, რომ საბჭო თავმჯდომარის დანიშვნამდე შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან მართავს კონსულტაციებს, საბჭო არათანმიმდევრულად იყენებს. საანგარიშო პერიოდში თავმჯდომარეებისა და მოვალეობის შემსრულებელთა დანიშვნის პროცესი არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა.

გამოწვევად რჩება დამოუკიდებელი ინსპექტორის („ინსპექტორი“) შერჩევის არასათანადო საკანონმდებლო რეგულირება და საბჭოს მიერ ამ კუთხით დადგენილი გაუმჭვირვალე პრაქტიკა.

- ინსპექტორის დანიშვნისას საკმარისია საბჭოს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ეს შესაძლებლობას აძლევს მოსამართლე წევრებს, ამ პოზიციაზე მათთვის მისაღები კანდიდატი შეარჩიონ;
- დისციპლინური სამართალწარმოებისას საჩივრების განხილვის ვადები კვლავ ჭიანურდება, მაღალია მათი შეწყვეტის მაჩვენებელი. დეკემბრის ბოლოს მიღებული ცვლილებებით, პარლამენტმა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები გაანახევრა. როგორც დამოუკიდებელმა ინსპექტორმა აღნიშნა, ეს ცვლილებები ინსპექტორის აპარატთან არ ყოფილა შეთანხმებული და ვადების განახევრებამ, ჭარბი საჩივრების ფონზე, მათი მდგომარეობა გააუარესა.
- 2022 წელს სხდომების ორგანიზება საგანგაშოდ გაუარესდა. კანონი ითვალისწინებს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის 3 დღით ადრე გამოქვეყნების ვალდებულებას. თუმცა, საანგარიშო პერიოდში ეს ინფორმაცია სამი დღით ადრე არც ერთხელ არ გამოქვეყნებულა. საბჭოს ვებგვერდზე ის მხოლოდ სხდომის წინა დღეს, დღის მეორე ნახევარში იდებოდა. მუდმივად იცვლებოდა სხდომის ჩატარების დღე და საათი. მენეჯმენტის გაუმართაობაზე მიუთითებს მრავალგზის გადადებული სხდომები და საკითხები. საბჭომ არც საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო სხდომების პირდაპირ რეჟიმში ტრანსლირება.

1. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ძალაუფლება

1.1. იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება - გამოწვევები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქმნება საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ქმედითობის უზრუნველყოფისთვის.[5] საბჭოს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს როგორც სასამართლო სისტემის, ასევე ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობას, მართლმსაჯულების ეფექტიანობასა და სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.[6] ამისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოების მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობა როგორც გენდერის, ისე რეგიონული ნიშნით.[7]

კანონით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო 15 წევრისგან შედგება.[8] 8 წევრს ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო - მოსამართლეთა კონფერენცია, 5-ს - პარლამენტი, 1-ს პრეზიდენტი ნიშნავს, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მასში თანამდებობრივად შედის.[9] იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი არ ითვალისწინებს გენდერულ და რეგიონულ კვოტებს. მეოთხე ტალღის ცვლილებით მხოლოდ ის ჩაიწერა კანონში, რომ თითო წევრი მაინც უნდა წარმოადგენდეს თითოეული ინსტანციის სასამართლოს.[10]

ამჟამად, ინსტანციური კვოტები საბჭოში შემდეგნაირად არის გადანაწილებული: კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრიდან 2 - უზენაესი სასამართლოდან, 3 - პირველი ინსტანციიდან, ხოლო 3 - აპელაციიდანაა არჩეული. თბილისის გარდა სხვა რეგიონული სასამართლოები საბჭოში არ არიან წარმოდგენილნი მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემაში უმრავლესობას სწორედ რეგიონებში მდებარე სასამართლოები შეადგენს.[11]

გენდერის ნიშნითაც მდგომარეობა სავალალოა. სისტემაში უმრავლესობას ქალი მოსამართლეები შეადგენენ, თუმცა საბჭოს მოსამართლე წევრთაგან მხოლოდ ორი მათგანია ქალი.[12]

კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, რომ მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.[13] ამ შესაძლებლობას მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი თავის სასარგებლოდ იყენებს და ყოველ ჯერზე თავმჯდომარის კვოტა ათვისებული აქვს. 2022 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მოსამართლეთა რიგით XXXI კონფერენციაზე დიმიტრი გვრიტიშვილის არჩევით ე.წ. თავმჯდომარის კვოტა მთლიანად შეივსო. კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრიდან 4 მოსამართლე წევრი, იმავდროულად, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის თანამდებობასაც იკავებს.[14]

---

[5] საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[6] CCJE Opinion No. 24 (2021): Evolution of the Councils for the Judiciary and their role in independent and impartial judicial systems, Strasbourg, 5 November 2021, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ENhmHTG, განახლებულია: 01.11.2022.
[7] იქვე, პარა. 30.
[8] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] ნინო ნოზაძე, „იუსტიციის უმაღლესი საბჭო - სისტემის წარმომადგენელი?", 2022 წლის 11 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/zapp6h79, განახლებულია: 09.12.2022.
[12] ორიდან ერთ-ერთი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძეა.
[13] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[14] პაატა სილაგაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, ბადრი შონია, თემურ გოგოხია.

საია მიიჩნევს, რომ თავმჯდომარეების კვოტა საბჭოში უნდა გაუქმდეს. გავლენის შესამცირებლად ასევე აუცილებელია საბჭოს დაკომპლექტების მიმართულებით ისეთი ცვლილებების განხორციელება, როგორიცაა საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევისას გენდერული, რეგიონული და ინსტანციური კვოტების დაწესება.[15]

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საბჭოს დაკომპლექტების კუთხით კანონში ბევრი ცვლილება შევიდა,[16] ის მაინც ვერ უზრუნველყოფს სისტემის ფართო წარმომადგენლობას და ჯანსაღი პროცესების წარმართვას. უფრო მეტიც, 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებით, საბჭოს წევრის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვის გაუქმებამ წაახალისა კორპორატივიზმი საბჭოში. 19 აპრილს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ხელმოწერილი შეთანხმების, ე.წ. „შარლ მიშელის დოკუმენტის", ერთ-ერთი ძირითადი საკითხი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა იყო.[17] მასში ხაზი გაესვა საბჭოს საქმიანობაში გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის აუცილებლობას.[18] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა და დარჩენილი წევრების დანიშვნა ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.[19]

1.2. იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა

მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მოსამართლეთა XXXI კონფერენცია ჩატარდა.[20] დღის წესრიგში ერთ-ერთი საკითხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა იყო. საბჭოში ვაკანსია მას შემდეგ გაჩნდა, რაც უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 17 ოქტომბრის სხდომაზე გოჩა აბუსერიძე სადისციპლინო პალატის წევრად აირჩია. ეს კი შეუთავსებელია საბჭოს წევრობასთან.[21] მეორე წევრის ვაკანსიის შესახებ კონფერენციის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი. საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია, რა გახდა საბჭოს ყოფილი წევრის, გიორგი გოგინაშვილის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების მიზეზი. მას უფლებამოსილება 2025 წელს ეწურებოდა.

კონფერენციაზე რამდენიმე მოსამართლემ ერთხმად დაასახელა დიმიტრი გვრიტიშვილის კანდიდატურა. პარალელურად, სიტყვა ითხოვა ლევან მურუსიძემ და მოსამართლეებს მიმართა, რომ აპირებდა საბჭოს წევრად კანდიდატურის დაყენებას. მისი განმარტებით, სისტემაში არსებულ გამოწვევებს ზოგიერთი აქტორი მის სახელს უკავშირებდა. საპასუხოდ, მან გადაწყვიტა, პირადად გაეცა პასუხები ბრალდებებზე და ებრძოლა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის. ამას კი საბჭოს

[15] ეს უკანასკნელი კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს.

[16] სოფო ვერძეული, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021 წელი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1MIWQ3d, განახლებულია: 13.11.2022.

[17] President of the European Council Charles Michel publishes new proposal made today to Georgian political parties, EU-ს ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/8TPJOAq, განახლებულია: 20.12.2021.

[18] იქვე.

[19] Opinion on Georgia's application for membership of the European Union, European Commission, 16 June 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ybjLvN, განახლებულია: 27.10.2022.

[20] „მოსამართლეთა XXXI კონფერენცია", საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/EMmgEe7, განახლებულია: 11.11.2022.

[21] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

წევრის სტატუსით ლეგიტიმურად შეძლებდა.[22] კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეების დიდი ნაწილი მის გადაწყვეტილებას ტაშით შეეგება.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბჭოს როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრების არჩევა უნდა მოხდეს მათი კომპეტენციის, გამოცდილების, ასევე, მათ მიერ მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების პრინციპების გაცნობიერების ხარისხის შესაბამისად.[23] მოსამართლეთა კონფერენციაზე დაკვირვება კი სულ სხვა რეალობას გვთავაზობს. საზოგადოებისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი საბჭოს წევრობის კანდიდატების შესახებ. როგორც წინა კონფერენციების შემთხვევაში, ახლაც დასახელებულ კანდიდატებს არ წარმოუდგენიათ საკუთარი ხედვა და მოსაზრებები სისტემაში არსებულ ვითარებაზე. ამის მიუხედავად, მოსამართლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა არაკონკურენტულ გარემოში დასახელებულ 2 კანდიდატს. კონფერენციაზე დარეგისტრირებული 279 მოსამართლიდან 268 ხმა მიიღო ლევან მურუსიძემ და 267 - დიმიტრი გვრიტიშვილმა.

მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციის მოწვევას და, მოულოდნელად, ვადაზე ადრე ორი წევრის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტას წინ უძღოდა გარკვეული პროცესები. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ განაცხადა, რომ, თუ მოსამართლეები ე.წ. კლანისა და ხელისუფლებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს არ მიიღებდნენ, მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა.[24] ეს ინფორმაცია დააადასტურა სუსის ყოფილმა მაღალჩინოსანმა სოსო გოგაშვილმა.[25] ამ ინფორმაციის გასაქარწყლებლად ლევან მურუსიძემ საბჭოს აცნობა, რომ გოგაშვილმა მას შეტყობინებები გაუგზავნა - თუ არ გამოუშვებდნენ და მის ქონებას დააყადაღებდნენ, სასამართლოს მაქსიმალურ დისკრედიტაციას მოახდენდა.[26] მისი თქმით, უარის მიღების შემდეგ გოგაშვილმა ეს მუქარა შეასრულა. მურუსიძე მოსამართლეებს სიფრთხილისა და ერთიანობისკენ მოუწოდებდა.[27] ხაზგასასმელია, რომ ეს მოვლენები არამოსამართლე წევრების კონკურსის ფონზე მიმდინარეობდა.

ამ ფონზე, ლევან მურუსიძისა და დიმიტრი გვრიტიშვილის საბჭოში დაბრუნებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ გადაწყვეტილებები დახურულ კარს მიღმა მიიღება და კონფერენციაზე მათი ფორმალურად დადასტურება ხდება. საბჭო არამოსამართლე წევრებს გაძლიერებული შემადგენლობით ხვდება. გავლენიანი ჯგუფის კონტროლს დაქვემდებარებული მოსამართლეები უშუალოდ „კლანის“ ლიდერებმა ჩაანაცვლეს.

[22] „მურუსიძე და გვრიტიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად აირჩიეს“, ნეტგაზეთი, 2022 წლის 23 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/245yw9z5, განახლებულია: 09.01.2023.

[23] CCJE Opinion No. 24 (2021): Evolution of the Councils for the Judiciary and their role in independent and impartial judicial systems, 2021 year 5 November, Strasbourg, https://tinyurl.com/msx6wb4m, განახლებულია: 01.11.2022.

[24] „ლევან მურუსიძე - არ ვაპირებ ბესო ალავიძის და მისი ოჯახის ლიკვიდაციას“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/, განახლებულია: 09.12.2022.

[25] „სოსო გოგაშვილი - ვადასტურებ მოსამართლე ბესარიონ ალავიძის მიერ ინტერვიუში მოყვანილ ზეწოლის ფაქტს, ეს განვახორციელეთ სუს-მა მიხეილ ჩინჩალაძის მოთხოვნის შემდეგ“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/22fsjbhj, განახლებულია: 09.01.2023.

[26] იხ. 2022 წლის 21 სექტემბრის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი.

[27] იქვე.

1.3. კონფერენციის მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებები

კონფერენციის ფორმალურობაზე მიანიშნებს 23 ოქტომბრის კონფერენციაზე მიღებული სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც. ხაზგასასმელია, რომ მოსამართლეთა კონფერენცია, როგორც მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, თავის როლს ვერ ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში კონფერენციის დამოუკიდებლობისთვის არაერთი საკანონმდებლო გარანტია შეიქმნა, რაც მოსამართლეების მიერ ხმის მიცემის ფარულობაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას კვოტის გაზრდასა და სხვა პოზიტიურ ცვლილებში გამოიხატა,[28] კონფერენციაზე არ არის წახალისებული ჯანსაღი დებატები სასამართლო სისტემის ირგვლივ. სისტემის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ორგანოს წევრები კი არაკონკურენტულ გარემოში აირჩევიან.

მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგი ასევე ითვალისწინებდა იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრების, სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრის, აგრეთვე ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებისა და თავმჯდომარის არჩევას.

სადისციპლინო კოლეგიის წევრ თეა ძიმისტარაშვილს უფლებამოსილება შეუწყდა და დასახელდა გიორგი გოგინაშვილის კანდიდატურა, რომელმაც მანამდე საბჭოს წევრობაზე თქვა უარი. იგი ფარული კენჭისყრით 266 ხმით აირჩიეს.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებს ილონა თოდუას, თამარ ოქროპირიძესა და ნანა დარასელიას უფლებამოსილების ვადა გაუვიდათ, თუმცა კონფერენციამ კანდიდატებად იგივე შემადგენლობა დაასახელა. ნანა დარასელიამ კომიტეტის წევრობაზე უარი თქვა, რის შემდეგაც ირაკლი შენგელიამ გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურა წარმოადგინა. საბოლოოდ, კონფერენციამ ფარული კენჭისყრით ილონა თოდუა - 267, თამარ ოქროპირიძე - 268, გოჩა ჯეირანაშვილი კი 262 ხმით აირჩია. ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარედ მხოლოდ ილონა თოდუას კანდიდატურა დასახელდა და კონფერენციამ მას ზედიზედ მეორედ ამ პოსტზე მხარი დაუჭირა. ყველა ზემოხსენებული მოსამართლე წლების განმავლობაში იკავებს მნიშვნელოვან მენეჯერულ თანამდებობებს. მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ ერთი და იმავე კანდიდატების დამტკიცება, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კონფერენციის ფორმალურ ხასიათს და სისტემაში გავლენიანი პირების არსებობას ადასტურებს.

1.4. იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა

ევროკომისიის რეკომენდაციების ერთ-ერთი პრიორიტეტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების დანიშვნაა.[29]

2021 წლის ივნისის შემდეგ საბჭო ათკაციანი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას. 2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა არამოსამართლე წევრების შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.[30]

---

[28] სოფო ვერძეული, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021, გვ. 25, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1MIWQ3d, განახლებულია: 23.01.2023.

[29] Opinion on Georgia's application for membership of the European Union, European Commission, 16 June 2022.

[30] „იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 5 არამოსამართლე წევრის ასარჩევი კონკურსი გამოცხადდა", რადიო თავისუფლება, 2022 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/49k2v5xh, განახლებულია: 09.01.2023.

არამოსამართლე წევრები კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით აირჩევიან.[31] ხმათა ამ თანაფარდობით არამოსამართლე წევრთა არჩევა საკონსტიტუციო ცვლილებების მნიშვნელოვანი მიღწევაა, ვინაიდან იგი კონსენსუსს ეფუძნება. თუმცა, მმართველი პარტია სწორედ კონსენსუსის არარსებობით ხსნიდა წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში კონკურსის გამოუცხადებლობას.

არამოსამართლე წევრობის კანდიდატთა წარსადგენად ვადა 30 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით განისაზღვრა.[32] საბოლოოდ, კონკურსში მონაწილეობის სურვილი 32-მა პრეტენდენტმა გამოთქვა.[33] მათ შორის იყო „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მიერ მხარდაჭერილი 5 კანდიდატი, რომლებიც მასში შემავალმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წარადგინეს.[34]

არამოსამართლე წევრების შერჩევასთან დაკავშირებით პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი პროცედურები არ არის გამჭვირვალე, რაზეც საიამ ჯერ კიდევ 2017 წელს მიმართა პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით. ის ითვალისწინებდა: ა) საბჭოს წევრობის კანდიდატების ბიოგრაფიის და ხედვის დოკუმენტების წარდგენას და საჯაროდ გამოქვეყნებას; ბ) წამყვანი კომიტეტის მიერ საბჭოს წევრების კანდიდატებთან გასაუბრების წესის შემოღებას და დაინტერესებული პირებისთვის შეკითხვების დასმის უფლების მინიჭებას.[35] მმართველმა პარტიამ 2022 წლის 4 ნოემბერს დაინიციირებული საკანონმდებლო ცვლილებებით კანდიდატების საჯარო მოსმენის ვალდებულება გაითვალისწინა.

კანდიდატების მოსმენა კომიტეტის სხდომაზე 8 დეკემბერს დაიწყო და 19 დეკემბერს დასრულდა.[36] არამოსამართლე წევრების კენჭისყრა პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე არ მომხდარა. „ლელომ“ და „რეფორმების ჯგუფმა“ კონკურსში მონაწილეებთან შეხვედრისა და მათთან გასაუბრების რეგლამენტით მინიჭებული უფლება გამოიყენეს. მათი მოსაზრებით, წარდგენილ კანდიდატებს შორის 10-12 ღირსეული და გამოცდილი პრეტენდენტია, რომლებთან დაკავშირებითაც კონსენსუსი შესაძლებელი იყო.[37]

---

[31] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[32] „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატები“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2022 წლის 20 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2p8tyuem, განახლებულია: 09.01.2023.

[33] ლიკა საჯაია, ანა აბაშიძე, დიმიტრი ხაჩიძე, სულხან სალაძე, გიორგი ბურჯანაძე, „კოალიციამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრების თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატები წარადგინა“, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2022 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XJkGOd, განახლებულია: 23.01.2023.

[34] „კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კოალიციის მიერ მხარდაჭერილი ხუთი არამოსამართლე წევრობის კანდიდატი წარადგინა“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4dp9ec7d, განახლებულია: 10.02.2023.

[35] „არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტს მოუწოდებენ, უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრების არჩევის გამჭვირვალე და პროფესიულ შეფასებაზე დაფუძნებული პროცესი“, სოციალური სამართლიანობის ცენტრის ვებგვერდი, 2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WetVVF, განახლებულია: 09.12.2022.

[36] „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი დასრულდა“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2022 წლის 19 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/wj8ujmfw, განახლებულია: 09.01.2023.

[37] „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის საკითხის კენჭისყრა საგაზაფხულო სესიისთვის გადავადდა“, ინტერპრესნიუსი, 2022 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4z32ycst, განახლებულია: 09.01.2023.

არამოსამართლე წევრებად კეთილსინდისიერი და კომპეტენტური კანდიდატების შერჩევა, რომელთა მიმართ საზოგადოების ნდობა და პარტიების ფართო კონსენსუსი იარსებებს, საბჭოში განსხვავებულ აზრს გააჩენს და „კლანს“ ერთხმიან არამყარ უპირატესობას დაუტოვებს.[38] კონსენსუსის საფუძველზე დამტკიცებული არამოსამართლე წევრები საბჭოში საზოგადოების ფართო წარმომადგენლობას უზრუნველყოფდნენ. იმ ფონზე, რომ მოსამართლე წევრებად ერთმანეთს გავლენიანი მოსამართლეები ენაცვლებიან, კეთილსინდისიერი არამოსამართლე წევრების შერჩევა ხელს შეუწყობდა სისტემაში არსებული გამოწვევების ირგვლივ დებატებს. პრაქტიკაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ განსხვავებულ მოსაზრებებს საბჭოში სწორედ არამოსამართლე წევრები გამოთქვამდნენ.

[38] „სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა“, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/oUoGLNr, განახლებულია: 02.11.2022.

2. სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა – რამდენად პასუხობს ის სისტემაში არსებულ გამოწვევებს

ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სასამართლო სისტემის სიღრმისეული რეფორმაა. მისი შესრულების მიზნით პარლამენტში შეიქმნა მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სამოქალაქო სექტორისთვის 2-ადგილიანი კვოტა განისაზღვრა. საიამ სამუშაო ჯგუფს იმ საკითხების ჩამონათვალი წარუდგინა, რომელთა გადაჭრის გარეშეც ნებისმიერი ცვლილება მხოლოდ პროცედურული იქნებოდა და დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნას არ უზრუნველყოფდა. ამის მიუხედავად, მმართველი პარტიის მიერ მიღებულ სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში არ არის იდენტიფიცირებული სისტემაში არსებული მთავარი გამოწვევები.[39] პროცესებზე მრავალწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მხოლოდ პროცედურული ასპექტების დახვეწა, რომელშიც უგულებელყოფილია მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი პრობლემები, ფასადურია და, რეალურად, მის გაჯანსაღებას არ ემსახურება.

მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, საბჭოს წევრების შერჩევის პროცესის სრულყოფის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევისას კომიტეტის საჯარო სხდომაზე მათი მოსმენის ვალდებულება განისაზღვრა.[40] გარდა ამისა, საბჭოს მოსამართლე წევრის არჩევასთან დაკავშირებით მიეთითა კანდიდატის მიერ მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე საკუთარი ხედვების წარდგენის შესაძლებლობა. მაშინ, როდესაც სამოქალაქო სექტორი ითხოვდა: საბჭოში არსებული ძალაუფლების დეკონცენტრაციას; საბჭოს წევრად ერთი და იმავე მოსამართლის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვას; საბჭოში თავმჯდომარეების კვოტის გაუქმებას, იმავდროულად, გენდერული, რეგიონული და ინსტანციური კვოტების გაწერას, რაც საბჭოში სასამართლოების ფართო წარმომადგენლობას შეუწყობდა ხელს და გავლენიან მოსამართლეებს აღარ ექნებოდათ შესაძლებლობა, თავმჯდომარეობასთან ერთად, საბჭოშიც ყოფილიყვნენ[41] - ამ ფონზე, მმართველმა პარტიამ, რეალურის ნაცვლად, არჩევანი კვლავ პროცედურულ ცვლილებებზე გააკეთა.

[39] „საიამ მმართველი გუნდის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე - „სასამართლო სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ პარლამენტს შეფასება წარუდგინა“, საიას ვებგვერდი, 2022 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/39m4a75e, განახლებულია: 23.01.2023.

[40] „ანრი ოხანაშვილმა სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/49rmnx5u, განახლებულია: 09.01.2023.

[41] „საიამ მმართველი გუნდის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე - „სასამართლო სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ პარლამენტს შეფასება წარუდგინა“, საიას ვებგვერდი.

3. მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნა

რაიონულ (საქალაქო), ასევე სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეებს კონკურსის საფუძველზე ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.[42] მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა, უკონკურსოდ გადაყვანა „კლანისთვის" ერთ-ერთი ბერკეტია გავლენის მოსაპოვებლად და გასამყარებლად. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსები მუდმივად კრიტიკას იმსახურებს.[43]

კანონმდებლობა ითვალისწინებს:

- გამოსაცდელი ვადით დანიშვნას და მისი გავლის შემდეგ უვადოდ გადანიშვნას;
- სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ გადანიშვნას;
- სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას.[44]

გამარტივებული რეგულაციებია დადგენილი საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების ყოფილი და მოქმედი მოსამართლეების დასანიშნად.[45]

პირველ და მეორე ინსტანციაში 310 მოქმედი მოსამართლეა.[46] მათგან უვადოდ დანიშნულია 249 მოსამართლე, 10-წლიანი ვადით - 5, ხოლო 3-წლიანი ვადით - 56.[47]

3.1. კონკურსის წესით გამოსაცდელი ვადით დანიშვნა

მოსამართლეთა შესარჩევად პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში საბჭო ატარებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ: (1) იუსტიციის უმაღლესი სკოლის (შემდეგში - სკოლა) კურსდამთავრებულებს, (2) ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეებს. სკოლის მსმენელები - სამწლიანი გამოსაცდელი ვადით, ხოლო მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან.

3.2. კონკურსის წესით მოსამართლეთა დანიშვნა

პირველ და მეორე ინსტანციებში არსებულ ვაკანსიებზე მოსამართლეთა შესარჩევად საბჭო ატარებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ: (1) იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს; (2) ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეებს.

კონკურსის წარმატებით გავლისა და საბჭოს წევრთა ხმების 2/3-ის მიღების შემთხვევაში, სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეები - უვადოდ, ხოლო გამოცდილების არმქონენი სამწლიანი გამოსაცდელი ვადით ინიშნებიან.

---

[42] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[43] ნინო ნოზაძე და ოლღა შერმადინი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019, გვ. 16-25, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2zqPX2X, განახლებულია: 12.03.2022; ნინო ნოზაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020, გვ. 14-21, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qTcutK, განახლებულია: 12.03.2022.

[44] საანგარიშო პერიოდში ამ წესით საბჭოს აღარ უხელმძღვანელია, ვინაიდან მოსამართლეები, რომლებსაც ეს გარდამავალი რეგულირება ეხებოდათ, უვადოდ გადაინიშნნენ. ფაქტობრივად, ამ მუხლმა საკუთარი ფუნქცია ამოწურა.

[45] იქვე, 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

[46] 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით.

[47] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №57/4174-03-ო წერილი.

2021 წლის 5 აგვისტოს საბჭომ 22 რაიონული (საქალაქო) სასამართლოს 42 ვაკანსიაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.[48] განაცხადების მიღება 6-იდან 22 აგვისტომდე მიმდინარეობდა. კანონით, საბჭო 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კონკურსში მონაწილე მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს,[49] თუმცა კანონით მოთხოვნილი ვადა დაირღვა. საბჭოს მდივანმა ეს პანდემიით და სხვა ობიექტური მიზეზებით ახსნა.[50] 7 სექტემბრის სხდომაზე კანდიდატად 13 პირი დარეგისტრირდა,[51] აქედან 1 - მოქმედი, 5 - ყოფილი მოსამართლე და 7 - სკოლის მსმენელია.

საბჭომ კანდიდატებთან გასაუბრებები 15 დეკემბერს და 15 თებერვალს ღია ფორმატში გამართა. გასაუბრებაზე 11 პირი გავიდა. ქეთევან დუგლაძემ და ზურაბ ძნელაშვილმა კანდიდატურები მოხსნეს. თვითაცილება საბჭოს არცერთ წევრს არ დაუყენებია.[52]

კენჭისყრის ეტაპზე, რომელიც 7 მარტის სხდომაზე გაიმართა, თერთმეტივე კანდიდატი გადავიდა.[53]

საანგარიშო პერიოდში 7 კანდიდატი განწესდა მოსამართლედ: 6 - სამწლიანი ვადით,[54] 1 - უვადოდ.[55]

სისტემაში არსებული ვაკანსიების მაღალი რაოდენობა და კონკურსში მონაწილე პირთა ნაკლებობა მიუთითებს იმაზე, რომ კვალიფიციური კადრები თავს იკავებენ კონკურსებში მონაწილეობისგან. ამის მიზეზი, შესაძლოა, საბჭოს მიმართ უნდობლობა იყოს, ვინაიდან ის მოსამართლეებს არჩევს არა კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების, არამედ კორპორატივიზმისა და ნეპოტიზმის ნიშნით.

კანონმდებლობით დადგენილია, რომ კანდიდატები კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით, ქულების მეშვეობით ფასდებიან.[56] მათთან ტარდება გასაუბრება.[57] პრეტენდენტი, რომელთან დაკავშირებითაც საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა (8 წევრი) მიიჩნევს, რომ „აკმაყოფილებს“ ან „სრულად აკმაყოფილებს“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის ნაწილში, საერთო ჯამში, მოპოვებული აქვს ქულათა არანაკლებ 70%, კენჭისყრის ეტაპზე გადადის.[58] საბოლოოდ, მოსამართლე ხდება ის, ვინც საბჭოს წევრთა ხმების 2/3-ს

---

[48] „იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2021 წლის 5 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/KAolYPY, განახლებულია: 12.04.2022.

[49] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 35-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

[50] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 7 სექტემბრის სხდომის ოქმი.

[51] იქვე.

[52] იქვე.

[53] 2022 წლის 7 მარტის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი.

[54] გულიკო კაჟაშვილი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, ნინო სახელაშვილი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, ნინო ჯოჯუა - ბოლნისის რაიონული სასამართლო, გიორგი მთიულიშვილი - გურჯაანის რაიონული სასამართლო, ლიკა ბოკერია - სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ეკატერინე მაღრაძე - ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხობის მუნიციპალიტეტში.

[55] დარეჯან კვარაცხელია - სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში; „იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა გაიმართა“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2022 წლის 7 მარტი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/OS3l9Rj, განახლებულია: 25.03.2022.

[56] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[57] იქვე, მე-13 პუნქტი.

[58] იქვე, 35-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

მიიღებს.[59] საანგარიშო პერიოდში სისტემაში 102 ვაკანსია იყო.[60]

25 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა 76 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. განაცხადების მიღება 28 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.[61] 76 ვაკანსიაზე მხოლოდ 21 კანდიდატი დარეგისტრირდა.

საიას აზრით, მნიშვნელოვანია, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები დაინიშნონ საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა ორმაგი 2/3-ით.[62] ეს რეგულაცია, თუკი პარლამენტი არამოსამართლე წევრებად საზოგადოების მიერ ნდობაგამოცხადებულ და ფართო შეთანხმებით შერჩეულ წევრებს აირჩევს, შეცვლის საბჭოში არსებულ ძალთა გადანაწილებას და მას კონსენსუსზე ორიენტირებულს გახდის.

მეოთხე ტალღის ცვლილებებით, კენჭისყრის ჩატარების შემდეგ საბჭოს დასაბუთების გამოქვეყნება დაევალა. დასაბუთება პროცედურის აღწერას და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და კეთილსინდისიერების თაობაზე დასკვნას მოიცავს.

გამოქვეყნებული დასკვნების დასაბუთებებში მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის აღწერა გამჭვირვალეა, თუმცა, მაგალითად, კეთილსინდისიერების შეფასებისას დასაბუთება ისეა შედგენილი, შეფასება ნებისმიერ მოსამართლეს შეიძლება მიემართებოდეს და არ არის მორგებული კონკრეტულ პირზე. დასკვნები ისეა გაკეთებული, რომ არ იკვეთება, რას დაეყრდნო საბჭოს წევრი მოსამართლის კეთილსინდისიერების შეფასებისას. ხაზგასასმელია, რომ 7 მარტის სხდომაზე განწესებული 7 მოსამართლის შეფასების დასკვნა საბჭოს საანგარიშო პერიოდში არ გამოუქვეყნებია.

მნიშვნელოვანია, დასაბუთებაში ჩანდეს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც დადებითი ან უარყოფითი შეფასების საფუძველი გახდა. დასკვნა დაინტერესებულ პირს უნდა აძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას მოსამართლის კეთილსინდისიერების თაობაზე.

3.3. კონკურსის წესით სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ დანიშვნა

აქ პროცედურები თითქმის იგივეა, რაც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირთა კონკურსის წესით დანიშვნისას, თუმცა კომპეტენტურობის კრიტერიუმს შეფასებისას ემატება პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებელი.[63] ამასთანავე, ფასდება (გარდა საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი წევრისა) მის მიერ განხილული 5 საქმე (მათ

[59] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4[1] პუნქტი.

[60] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №57/4174-03-ო და №55/4103-03-ო წერილები.

[61] „იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2022 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4uvp5kda, განახლებულია: 12.12.2022.

[62] ამ პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა, იხ. „სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა“, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი.

[63] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 36[3]-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

შორის, არსებობის შემთხვევაში, არანაკლებ 2 ისეთი, რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილება ზემდგომმა სასამართლომ შეცვალა).[64] კონკურსის ეტაპების წარმატებით გავლის შემდეგ ეს კანდიდატები უვადოდ ინიშნებიან.[65] საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთი პირი განწესდა უვადოდ.[66]

3.4. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა

გამოსაცდელი ვადით განწესებულ მოსამართლეს 3 წლის განმავლობაში აფასებს საბჭოს სამი მოსამართლე და სამი არამოსამართლე წევრი.[67] პირველი, მეორე და მესამე წლის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საბჭო მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას პირის უვადოდ დანიშვნის შესახებ.[68] საანგარიშო პერიოდში, იმის გამო, რომ საბჭო 10 წევრით (მათ შორის, მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრით) მუშაობდა, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასება და უვადოდ მათ განწესებაზე მსჯელობა ვერ მოხერხდა,[69] ვინაიდან, კანონით, ისინი სამ მოსამართლე და სამ არამოსამართლე წევრს (6 სხვადასხვა პირს) უნდა შეეფასებინა.[70] საბჭოს 2 ივნისის სხდომაზე სამწლიანი ვადით დანიშნულ სამ მოსამართლეს - ალექსანდრე ლომიძეს, ფატი ფურცხვანიძესა და ლელა ჭინჭარაულს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელეს, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებები საანგარიშო პერიოდში ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა. საიამ დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და გადაწყვეტილების ასლები, მაგრამ საბჭოს პასუხი არ მოუწოდებია. ფაქტობრივად, სამი მოსამართლე უფლებამოსილებას კანონის მოთხოვნათა დარღვევით ახორციელებს. ამით ილახება როგორც მათი უფლებები, ისე სასამართლოს მომხმარებელთა უფლება, საქმე განიხილოს კომპეტენტურმა და კვალიფიციურმა მოსამართლემ. ამან, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება.

3.5. მოსამართლეების გადანიშვნა და დაწინაურება

წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო კონკურსის გარეშე გადანიშვნის რეგულაცია და მისი აღსრულება.[71] „მესამე ტალღის“ ცვლილებებით, მოსამართლის გადანიშვნას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მისივე თანხმობა სჭირდება.[72] მანამდე ეს ქვემდგომ ინსტანციაშიც იყო შესაძლებელი. მოსამართლის დაწინაურება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.[73] დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება კანონმდებელმა

[64] იქვე, 36-ე მუხლის 41-ე პუნქტი.
[65] იქვე.
[66] დარეჯან კვარაცხელია - სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №55/4103-03-ო წერილი.
[67] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 44-ე პუნქტი.
[68] იქვე, 36-ე მუხლის 41-ე პუნქტი.
[69] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმი.
[70] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4^4 პუნქტი.
[71] ნინო ნოზაძე და ოლღა შერმადინი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 30-32.
[72] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლი.
[73] იქვე, 41-ე მუხლი.

საბჭოს დაავალა.[74] ეს უკანასკნელი მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლა: „შეიძლება დაწინაურდეს მხოლოდ ის მოსამართლე, რომელიც კომპეტენციით, გამოცდილებით, საქმიანი და მორალური რეპუტაციით შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას".[75] **მნიშვნელოვანია, გაიწეროს ისეთი პროცედურა/კრიტერიუმები, რომლებიც მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანისას ნათლად წარმოაჩენს კონკრეტული კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლიანობას.**

პროცედურების მიხედვით, ინფორმაცია ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. მსურველ მოსამართლეს განაცხადის წარდგენისთვის 7 დღე აქვს,[76] რის შემდეგაც მას საბჭო განიხილავს და პირს გასაუბრებაზე იწვევს.

საანგარიშო პერიოდში საკითხი 4-ჯერ დადგა დღის წესრიგში. შედეგად, 10 მოსამართლე გადაინიშნა. მათგან 7 დაწინაურდა. კონკურსის გარეშე გადაყვანის კონკურსი გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით არ გამოირჩევა. საბჭოს ვებგვერდზე არ ქვეყნდება ინფორმაცია ვაკანსიების, მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ. ეს მონაცემები მხოლოდ გასაუბრების დღეს, სხდომაზე ხდება ხელმისაწვდომი. გასაუბრება 5-10 წუთი გრძელდება და, მეტწილად, მოტივაციისა და დატვირთულობის შესახებ კითხვებს მოიცავს.

გადანიშვნა/დაწინაურების გაუმჭვირვალე პროცედურები და ბუნდოვანი კრიტერიუმები, საკითხის მრავალგზის ინიციირება, ერთგვარად ქაოსური გადანიშვნები სისტემის კონტროლის კიდევ ერთი ბერკეტია საბჭოს ხელში.

მნიშვნელოვანია, საბჭომ მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისა და დაწინაურების პროცესი გამჭვირვალედ წარმართოს.

3.6. მივლინება

2021 წლის 30 დეკემბერს ნაჩქარევად მიღებული ცვლილებების შედეგად, მოსამართლეების მივლინების მომწესრიგებელი კანონმდებლობა და მათი გარანტიები მთლიანად შეიცვალა: ა) საბჭოს შეუძლია, მოსამართლე მისი თანხმობის გარეშე მიავლინოს 2 წლით. ეს ვადა, შესაძლოა, კიდევ ორი წლით გაგრძელდეს;[77] ბ) შესაძლებელი ხდება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში.[78] გარდა ამისა, უქმდება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლის არანებაყოფლობითი მივლინება ხდებოდა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სასამართლოდან. მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შესაძლებელია მართლმსაჯულების ინტერესის მოტივით, ხოლო საბჭოს აღარ ევალება კონკრეტული გარემოებების მითითება, რა შეიძლება მოიაზრებოდეს ამ ტერმინში.

დეკემბრის ცვლილებები საბჭოს ძალაუფლებას კიდევ უფრო ზრდის და ინდივიდუალურ მოსამართლეს მეტად მოწყვლადს ხდის.

---

[74] იქვე, მე-2 პუნქტი.

[75] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13[1] მუხლის მე-11 პუნქტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WmWN0S, განახლებულია: 10.12.2022.

[76] იქვე, მე-8 პუნქტი.

[77] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[78] იქვე.

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლა: იუსტიციის საბჭოს გავლენები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღებ კონკურსს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, თავად სკოლა ატარებს.[79] თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისა და თავმჯდომარის შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო როლი. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან.[80] საბჭო, დამატებით, ნიშნავს კიდევ 2 წევრს აკადემიური კვოტიდან.[81] სამ წევრს ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია, ხოლო სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის კვოტიდან (სულ 3) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.[82] დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.[83]

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრმა და იმავდროულად თავმჯდომარემ დიმიტრი გვრიტიშვილმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა დამოუკიდებელი საბჭო. სერგო მეთოფიშვილს და ხატია არდაზიშვილს კი უფლებამოსილების ვადა გაუვიდათ. ვაკანტურ 3 ადგილზე კონფერენციამ ღია კენჭისყრით აირჩია გიორგი მიქაუტაძე 220 ხმით, ირაკლი შენგელია - 227 ხმით და ვასილ მშვენიერაძე - 230 ხმით. მათ კონკურენტები არ ჰყოლიათ. მოგვიანებით, საბჭომ დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ ვასილ მშვენიერაძე აირჩია.

პროცესებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ნათელს ხდის კანონის ჩანაწერის ფორმალურობას, საბჭოს ფართო გავლენებს იუსტიციის სკოლაზე და ადასტურებს ერთი და იმავე პირების როტაციის პრაქტიკას მნიშვნელოვან თანამდებობებზე.

ამასთანავე, სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას საბჭო იღებს.[84] 23 მარტის სხდომაზე საბჭომ, სისტემაში არსებული 95 ვაკანსიის გათვალისწინებით, სკოლას 121 მსმენელის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილება წარუდგინა. ამ უკანასკნელს უფლება აქვს, დაამტკიცოს საბჭოს მიერ წარდგენილ რაოდენობაზე ნაკლები იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ბიუჯეტი ან/და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იძლევა უფრო მეტი მსმენელის მიღების შესაძლებლობას.[85] თუ წინა წლების პრაქტიკას გადავხედავთ, სკოლა წელიწადში, მაქსიმუმ, 40 პირის გადამზადებას ახერხებდა. ხაზგასასმელია, რომ მსმენელთა შესარჩევი კონკურსი, ორი წელია, არ ჩატარებულა.

კანონმა არ დაარეგულირა მსმენელთა შერჩევის წესი და კრიტერიუმები. მსმენელობის კანდიდატთა რეგისტრაცია და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები სკოლის წესდებით უნდა მოწესრიგდეს.[86] თუმცა, სკოლას შესაბამისი პროცედურები წესდებაში ამ დრომდე არ აუსახავს.

სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შიდაორგანიზაციული თავისუფლებისთვის, უმჯობესია, მისი წევრების შერჩევის პროცესში შემცირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი, ხოლო თავმჯდომარის არჩევის უფლება თავად სკოლის საბჭოს მიენიჭოს.

---

[79] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{14}-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[80] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{3}-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[81] იქვე.
[82] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{3}-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
[83] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66^{5}-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[84] იქვე, 66^{12}-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[85] იქვე, 66^{15}-ე მუხლი.
[86] იქვე, 66^{14}-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

5. ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეები

5.1. თავმჯდომარეების როლი და გავლენები

სასამართლოს თავმჯდომარეები სისტემაში პრივილეგირებულ ჯგუფს განეკუთვნებიან და, საბჭოსთან ერთად, მოსამართლეთა გასაკონტროლებელ მთავარ ძალას ქმნიან.[87] მათ გავლენას ის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებიც განაპირობებს, რომლებიც კანონით ან საბჭოს მიერ აქვთ მინიჭებული. კვლავ პრობლემურია უფლებამოსილება, რომლის მეშვეობითაც, მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მოტივით, მას შეუძლია, მოსამართლეს დაავალოს: (1) სხვა პალატასა ან საგამოძიებო კოლეგიაში, ანდა სპეციალიზებულ შემადგენლობაში საქმის განხილვა; (2) მაგისტრატი მოსამართლეობა; (3) ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს - მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ საქმიანობა.[88]

დადგენილი პრაქტიკით, 2006 წლიდან ვიწრო სპეციალიზაციებში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს 2018 წელს ეს უფლებამოსილება საბჭომ მიანიჭა.[89] ამგვარი რეგულირება მანიპულირების რეალურ რისკებს წარმოშობს, მით უფრო სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმე უმეტესად სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიური შემადგენლობით განიხილება, ხოლო საქმის განაწილებისას ელექტრონული პროგრამა კოლეგიური შემადგენლობიდან მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეს ავლენს. დანარჩენი ორის ვინაობას მომხსენებელი მოსამართლე არჩევს. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეგია გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს, თავმჯდომარისთვის ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა მარტივად გადაადგილების უფლების მინიჭება ზრდის კოლეგიის შემადგენლობის ფორმირების პროცესში ჩარევის ალბათობას.[90] **საია მიიჩნევს, რომ საქმის კოლეგიურად განხილვისას სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების წესით, ხოლო ვიწრო სპეციალიზაციაში - წილისყრით უნდა ხდებოდეს.**

5.2. სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევა

პირველ და მეორე ინსტანციაში სასამართლოს თავმჯდომარეს საბჭო ნიშნავს.[91] მხარდაჭერა ვერ მოიპოვა მოსამართლეების მიერ მათი შერჩევის დებულებამ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ჩანაწერს „მესამე ტალღის“ ცვლილებების თავდაპირ-

---

[87] „მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შეწყვიტოს სასამართლოებში თავმჯდომარეების დანიშვნა სუბიექტური შეხედულების საფუძველზე“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის 2018 წლის 26 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35e1M89, განახლებულია: 05.02.2022.

[88] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[89] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება, მე-9 მუხლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2TBquug, განახლებულია: 06.02.2022.

[90] „კოალიცია მიხეილ ჩინჩალაძისთვის უფლებამოსილების გაზრდას საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის საფრთხედ აფასებს“, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ვებგვერდი, 2018 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3107n0q, განახლებულია: 06.02.2022.

[91] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე და 32-ე მუხლები.

ველი ვერსია ითვალისწინებდა და ვენეციის კომისიამაც მოიწონა,[92] გავლენიანი მოსამართლეების ზეწოლის შედეგად, ის კანონში აღარ აისახა. საბოლოოდ, მხოლოდ ჩაიწერა, რომ საბჭო თანამდებობაზე პირის განწესებისას იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, ხოლო მანამდე შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან მართავს კონსულტაციებს.[93] წლებია, არ იცვლება თავმჯდომარეთა დანიშვნის ბუნდოვანი პრაქტიკა და წესი. მენეჯერულ პოზიციებს სისტემაში, ძირითადად, ერთი და იგივე პირები იკავებენ. ისინი ამ თანამდებობებს ერთმანეთს უცვლიან, რაც სხვა მოსამართლეებს არ აძლევს სასამართლოს მენეჯმენტში ჩართვის შესაძლებლობას.[94] ამ მოსაზრების ილუსტრაციაა სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეთა დანიშვნასთან დაკავშირებით დადგენილი პრაქტიკა.

საბჭომ 7 სასამართლოს თავმჯდომარე დანიშნა. ყველა მათგანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სასამართლოს.

ბოლო წლებში დადგენილი პრაქტიკის მიხედვით,[95] თავმჯდომარის ვაკანსიის არსებობისას განცხადება სასამართლოს შიდა ქსელში ქვეყნდება. მიუხედავად ამისა, პროცესი, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. ამის მაგალითია საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული კონკურსები. თითოეულ პოზიციაზე მხოლოდ ერთი განაცხადი იყო წარდგენილი.

საბჭომ 16 მარტის სხდომაზე ირაკლი ბონდარენკო თბილისის სააპელაციო სასამართლოდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადაიყვანა.[96] 23 მარტის სხდომაზე კი მისი ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის საკითხი განიხილეს.[97] მდივანმა საკითხის წარდგენისას განაცხადა, რომ, ვინაიდან ირაკლი ბონდარენკო ახლახან იყო განწესებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, სანამ კოლეგები მას უკეთ გაიცნობდნენ, უმჯობესი იქნებოდა, ჯერ მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულიყო.[98] განსხვავებული აზრი არავის დაუფიქსირება. კონკურენციისა და გასაუბრების გარეშე ირაკლი ბონდარენკო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.[99]

საბჭო 2022 წელსაც აგრძელებდა მისადმი ლოიალურად განწყობილ მოსამართლეთა როტაციას და მათ დანიშვნებს მენეჯერულ თანამდებობებზე.

მიხეილ ჩინჩალაძეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების 5-წლიანი ვადა 29 მაისს ამოეწურა. 10 ივნისის სხდომაზე საბჭომ მას და რამდენიმე სასამართლოს თავმჯდომარეს მოვალეობის შესრულება დააკისრა და ვაკანსიის შესახებ განაცხადა. 27 ივნისს, მრავალგზის გადადებული სხდომის შემდეგ, საბჭო თავმჯდომარეების დანიშვნის საკითხს მიუბრუნდა. სხდომაზე ონლაინ

[92] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DGI) of the Council of Europe on the Draft Law on Amendments to the Organic Law on General Courts of Georgia, CDL-AD(2014)031, Strasbourg, 14 October 2014, p. 84. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1O1EwQw, განახლებულია: 08.02.2022.

[93] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[94] ვრცლად იხ. „ვიწრო წრე - სასამართლოში მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა განაწილება“, ხელმისაწვდომია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zA9YrTm, განახლებულია: 12.03.2022.

[95] 2018 წლამდე კანდიდატებს საბჭოს წევრები ასახელებდნენ.

[96] იხ. 2022 წლის 16 მარტის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი.

[97] იხ. 2022 წლის 23 მარტის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი.

[98] იქვე.

[99] იქვე.

რეჟიმში სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობასთან კონსულტაცია გაიმართა, რომელსაც 53 მოსამართლე ესწრებოდა. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოსამართლეებს შეეძლოთ, აზრი გამოეთქვათ მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. კანონის ჩანაწერს თავმჯდომარის დანიშვნამდე შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან კონსულტაციების შესახებ საბჭო არათანმიმდევრულად იყენებს. ზოგ შემთხვევაში კონსულტაციები დახურულ სხდომაზე ტარდება, ზოგჯერ - საჯაროდ. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა მიმართა საბჭოს, ხელმეორედ აღარ გაეწესებინა ჩინჩალაძე თანამდებობაზე, სააპელაციო სასამართლოს 53 მოსამართლის ჩართვა კონსულტაციისთვის, გარკვეულწილად, ძალის დემონსტრირების ნიშანი იყო, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვით გამომსვლელი მოსამართლეების პათოსს მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურის მხარდასაჭერად - „აღფრთოვანებული ვარ, სხვა ალტერნატივა, არ არის“,[100] „ღირსეული კანდიდატია“[101] და ა.შ.[102] მიხეილ ჩინჩალაძეს კონკურენტი არ ჰყოლია და საბჭოს წევრებს მასთან არც გასაუბრება ჩაუტარებიათ. მიუხედავად ამისა, ერთხმად დაუჭირეს მხარი მის ხელმეორედ დანიშვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ.[103] იმავე სხდომაზე, გასაუბრებისა და კონკურენციის გარეშე, ხელმეორედ გადაინიშნნენ ასევე ახალქალაქის, სენაკის, ხაშურის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეები.[104] ჩინჩალაძის ხელმეორედ გადანიშვნამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რომ სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფი უკან დახევას არ აპირებს. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის ერთ-ერთ საკვანძო წინაპირობასთან „სრულად და რეალურად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი“ სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით.[105] იმ ფონზე, როცა გავლენიანი ჯგუფი მართავს სისტემას და თავმჯდომარეები მისი ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა, რთული წარმოსადგენი იყო, რომ კონსულტაციების შემოღება სასამართლოს თავმჯდომარეების შერჩევისას რამე პოზიტიურს შემატებდა ამ პროცესს. ასეც მოხდა - მივიღეთ მორიგი ფასადური ცვლილება. დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი განაცხადის არსებობის შემთხვევაში საბჭო გასაუბრებას არ ატარებდა და კანდიდატურა პირდაპირ კენჭისყრაზე დგებოდა. ამგვარი მიდგომა საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

18 ივლისის სხდომაზე იუსტიციის საბჭომ კონკურენციისა და გასაუბრების გარეშე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ 5 წლის ვადით ირაკლი ბონდარენკო განაწესა.[106] იმავე სხდომაზე საბჭომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ კვლავ მამია ფხაკაძეს დაუჭირა მხარი. ირაკლი ბონდარენკოს და მამია ფხაკაძეს, წლებია, მენეჯერული თანამდებობები უკავიათ სისტემაში.[107]

მენეჯერულ თანამდებობებზე დანიშნული მოსამართლეების ბიოგრაფიებს თუ გადავხედავთ, თვალშისაცემია ერთი და იმავე პირების როტაცია.

---

[100] დავით მამისეიშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.

[101] დიმიტრი გვრიტიშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე.

[102] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის სხდომის ოქმი.

[103] იქვე.

[104] იქვე.

[105] Opinion on Georgia’s application for membership of the European Union, European Commission, 16 June 2022.

[106] იხ. 2022 წლის 18 ივლისის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი.

[107] „ვიწრო წრე - სასამართლოში მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა განაწილება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/zA9YrTm, განახლებულია: 08.02.2023.

საანგარიშო პერიოდში გამონაკლისი იყო თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის კონკურსი, რომელზეც განაცხადი შეიტანა როგორც მოქმედმა თავმჯდომარემ, ისე ამავე სასამართლოს მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილმა. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ ვლადიმერ ხუჭუას მორალური უფლება არ ჰქონდა, კვლავ დაეკავებინა თავმჯდომარის თანამდებობა, ვინაიდან იგი წლების განმავლობაში თავს არიდებდა მოსამართლეებისა და სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარებას. ასევე, ბადრი ნიპარიშვილი აცხადებდა, რომ ყველა კატეგორიის საქმეს თვითონ განიხილავდა, ანუ ძალიან დატვირთული იყო, თუმცა, თანაშემწე არ ჰყავდა.[108] მან ასევე აღნიშნა, რომ 2 წლის წინ მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა, რაზეც დამოუკიდებელ ინსპექტორსაც შეატყობინა, მაგრამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია. ის, რომ ვლადიმერ ხუჭუამ კვლავ დააყენა კანდიდატურა თავმჯდომარეობაზე, ნიპარიშვილს აფიქრებინებდა, რომ ამ შემთხვევას რეაგირება არც მომავალში მოჰყვებოდა.[109] ვლადიმერ ხუჭუამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ბადრი ნიპარიშვილი ხუთი თვის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ გამოცხადდა სასამართლოში, გარდა ამისა, უარს ამბობდა სამოქალაქო-ადმინისტრაციული საქმეების განხილვაზე.

27 ოქტომბრის სხდომაზე საბჭომ ამ საკითხზე მსჯელობა გააგრძელა. კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, ვლადიმერ ხუჭუა კვლავ დაინიშნა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.[110] დიმიტრი გვრიტიშვილის განმარტებით, საბჭომ მას დაუჭირა მხარი, ვინაიდან არ დადასტურდა ბრალდებები, რომლებიც ხუჭუას მისამართით გამოითქვა, ამასთანავე, მას მეტი მენეჯერული გამოცდილება ჰქონდა.[111] სხდომაზე საბჭოს წევრებს არ უსაუბრიათ, მოიძიეს თუ არა რამე დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხზე. როგორც ჩანს, მათთვის წლების განმავლობაში გამოცდილი თავმჯდომარის სიტყვა მეტად დამაჯერებელი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ მეორე მხარეს იყო მოსამართლე, რომელიც გარკვეულ საკითხებზე სისტემის გავლენიანი ჯგუფის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდა. სისტემაში კი განსხვავებული პოზიციები ნამდვილად არ არის წახალისებული.[112]

საანგარიშო პერიოდში საბჭომ 5 სასამართლოში თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნა.[113] კონკრეტული მოსამართლეებისთვის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრება შაბლონურად არის ახსნილი საბჭოს განკარგულებებში და მითითებულია, რომ „სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე“.

საია მიიჩნევს, რომ თავმჯდომარეები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა თავად უნდა აირჩიონ. ეს, გარდა იმისა, რომ საბჭოს გამოაცლის გავლენის მნიშვნელოვან ბერკეტს, ასევე ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერებას.

---

[108] იხ. 2022 წლის 25 ოქტომბრის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი.

[109] მოსამართლე ბადრი ნეპარიშვილი - ვლადიმერ ხუჭუას არანაირი მორალური უფლება არ აქვს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდეს, 2022 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2x6u63a5, განახლებულია: 23.01.2023.

[110] იხ. 2022 წლის 27 ოქტომბრის იუსტიციის საბჭოს სხდომის ოქმი.

[111] იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თეთრიწყაროსა და ზუგდიდის სასამართლოების თავმჯდომარეები აირჩია, 2022 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2893ywu6, განახლებულია: 23.01.2023.

[112] „კოალიცია მოსამართლეთა ნაწილის პროტესტს ეხმაურება“, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/22vmr9cf, განახლებულია: 12.02.2023.

[113] ამბროლაურის, გორის, გურჯაანის, სამტრედიისა და საჩხერის რაიონული სასამართლოები.

5.3. პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეებისა და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა

კანონმდებლობით, პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეებს შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საბჭო.[114] კანონით არ არის განსაზღვრული მათი უფლებამოსილებები და, პრაქტიკულადაც, მათი ფუნქციური საჭიროება არ არსებობს. ასევე არ არის გაწერილი, რა შემთხვევაში ინიშნებიან მოვალეობის შემსრულებლები.

5 ივლისის სხდომაზე საბჭოს მდივანმა დააინიციირა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი.[115] ამ შემთხვევაშიც საბჭომ მანიპულაციის ძველ, ნაცად ხერხს მიმართა: 10 ივნისის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც საბჭომ ვასილ მშვენიერაძეს და ბადრი შონიას შეუცვალა კოლეგიები, ნათელი იყო, რომ ისინი ერთმანეთს უცვლიდნენ თავმჯდომარეობასაც. მნიშვნელოვანია, რომ ბადრი შონია 2021 წელს 5 აპრილს დაინიშნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ, ხოლო ვასილ მშვენიერაძე 20 სექტემბერს განწესდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 18 ივლისის სხდომაზე საბჭოს წევრებმა, ისე, რომ არ დაუსვამთ კითხვა, რა იყო კოლეგიების შეცვლის მიზეზი, მათ გადანიშვნას მხარი დაუჭირეს. ბადრი შონია სამოქალაქოდან ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ, ხოლო ვასილ მშვენიერაძე ადმინისტრაციულიდან სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

5 ივლისის სხდომაზევე საბჭომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობა დააკისრა მალხაზ ოქროპირაშვილს, რომელსაც მანამდეც 2017 წლიდან ეკავა ეს თანამდებობა.

დანიშვნებმა კონკურენციისა და შეკითხვების გარეშე ჩაიარა.

საიას აზრით, თანამდებობების არსებობის მიზანი მოსამართლეთა შორის იერარქიული კიბის გამყარება და გავლენიანი ჯგუფისადმი ლოიალურად განწყობილი მოსამართლეებისთვის პრივილეგიების მინიჭებაა. ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარის (მოვალეობის შემსრულებლის) პოზიციები გაუქმდეს.

[114] იქვე, 23-ე მუხლის მე-5 და 30-ე მუხლის მე-4 პუნქტები.
[115] 2022 წლის 5 ივლისის საბჭოს სხდომის ოქმი.

6. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

6.1. საკანონმდებლო ხარვეზები

პრობლემად რჩება საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის აბსოლუტური უმრავლესობით არჩევის დებულება,[116] რომლის მიხედვითაც, საკმარისია მხოლოდ მოსამართლე წევრების მხარდაჭერა, რაც არამოსამართლე წევრებს პროცესების მიღმა ტოვებს. მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა, რათა ეს ინსტიტუტი საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობდეს. მხოლოდ მოსამართლე წევრების მიერ არჩევის შესაძლებლობა კი ინსპექტორის დამოუკიდებლობას მოწყვლადს ხდის. **ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, დანიშვნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3 განისაზღვროს.** ასევე ხარვეზიანია საბჭოს მიერ დადგენილი წესი ინსპექტორის შერჩევის თაობაზე, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან საკითხს არ მოიცავს.[117] არ არის გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა) და პროცედურები (შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების მიზანი და რეგულაცია, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასება და მისი დასაბუთება). **აუცილებელია, საბჭომ გააუმჯობესოს ინსპექტორის შერჩევის წესი.**

6.2. ინსპექტორის დასკვნები

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს და საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას უზრუნველყოფს ინსპექტორი,[118] რომელიც დასკვნებსა და მოსაზრებებს საბჭოს წარუდგენს.[119] 2021 წლის 30 დეკემბერს დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით, დისციპლინური სამართალწარმოების ორთვიანი ვადა განახევრდა. წინასწარი მოკვლევის ვადად, 2 თვის ნაცვლად, განისაზღვრა 1 თვე, რომელიც, შესაძლოა, 2 კვირით გაგრძელდეს.[120] განმარტებით ბარათში მითითებული იყო, რომ დისციპლინური სამართალწარმოების ვადების შემცირება (განახევრება) სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. დამოუკიდებელი ინსპექტორი აპარატიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოსამართლის მიერ საქმის მასალების მოძიება ხშირად გვიანდებოდა, რაც იწვევდა წინასწარი შემოწმებისთვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გაგრძელებას.[121] საანგარიშო პერიოდში ვადა დაირღვა 2 საქმეზე, გაგრძელდა 11 შემთხვევაში, ხოლო ვადის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს 1 საჩივარზე.[122] ვადების შემცირების დასაბუთება თავიდანვე არ შეესაბამებოდა პრაქტიკაში არსებულ რეალობას. მათ განახევრებამდეც საბჭო მუდმივად არღვევდა და უგულებელყოფდა კანონის მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში, მსგავსად წინა წლისა, საბჭოს 2022 წელს შესული არცერთი საჩივარი არ განუხილავს.

---

[116] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 51^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[117] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 27^2-ე მუხლი.
[118] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^6-ე მუხლი.
[119] იქვე.
[120] იქვე, 75^7-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[121] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2023 წლის 17 იანვრის №16/4170-03-ო წერილი.
[122] იქვე.

6.3. საბჭოს გადაწყვეტილებები

ინსპექტორის მიერ საქმეზე დასკვნისა და მოსაზრების წარდგენის შემდეგ საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას („დასაბუთებული ვარაუდის" სტანდარტით[123]) დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.[124] თუმცა, დევნის დაწყებაზე უარის შემთხვევაში მას გადაწყვეტილების დასაბუთება არ ევალება. **მნიშვნელოვანია, დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთდეს.**

საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, შეუძლია, თავისი განსხვავებული აზრი წერილობით ჩამოაყალიბოს. 2022 წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, არცერთ წევრს ამ უფლებით არ უსარგებლია.[125] საბჭოს მონიტორინგის ანგარიშებში საია მხარს უჭერდა დისციპლინური სამართალწარმოებისას შუალედური გადაწყვეტილებების მიღებას უბრალო უმრავლესობით და მხოლოდ საბოლოო, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა ან საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას - 2/3-ით.[126] ამჟამად, დისციპლინური საქმისწარმოების ყველა ეტაპზე ეს კვორუმი შეცვლილია და საბჭო გადაწყვეტილებას, 2/3-ის ნაცვლად, წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით იღებს.[127]

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება ერთ-ერთია იმ პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხთა ნუსხიდან, რომლებიც უნდა განიხილებოდეს იმ ორგანოს მიერ, რომელშიც შედიან როგორც მოსამართლეები, ასევე არამოსამართლე წევრები.[128] არამოსამართლე წევრების ამ პროცესში ჩართულობის მნიშვნელობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ამახვილებენ ყურადღებას.[129] საბჭოში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმეებზე კვორუმის შემცირება, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საბჭო, წელიწადზე მეტია, 5 არამოსამართლე წევრის გარეშე მუშაობს, კიდევ უფრო ამყარებს მოსამართლე წევრების გავლენებს და ნდობას უკარგავს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესს.[130]

მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება 2/3-ით მიიღებოდეს და მხოლოდ მოსამართლე წევრების თანხმობა არ იყოს საკმარისი.

---

[123] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75[8]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[124] იქვე.
[125] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2023 წლის 17 იანვრის №16/4170-03-ო წერილი.
[126] ნინო ნოზაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021 წელი, გვ. 30, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QA5FwMf, განახლებულია: 23.01.2023.
[127] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 758 -ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[128] "Independence and Impartiality of the Judiciary, Jurors and Assessors, and the Independence of Lawyers", UN Human Rights Council, 16 July 2020, ხელმისაწვდომია: https://documents-dds-ny.un.org/, განახლებულია: 26.01.2023.
[129] "Kyiv Recommendation on Judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia", OSCE official website, 23 June 2010, para. 1.9, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/, განახლებულია: 26.01.2023.
[130] თამარ ხუხია, Seth Myers, 2021 წლის ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ"- საერთაშორისო სამართლის და საუკეთესო პრაქტიკის ჭრილში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2023 წლის 16 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/bdh522e8, განახლებულია: 25.01.2023.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის სამსახურში შევიდა 205 საჩივარი, თუმცა განხილვის პროცესშია ასევე 2020 წელს შესული 66 საჩივარი და 2021 წლის 69 საჩივარი.[131]

205 საჩივრიდან 31-ზე შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ვინაიდან ისინი მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატში შესული საჩივრების უმეტესობა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევას შეეხება; 84,4% პირველი ინსტანციის მოსამართლეებს უკავშირდება; 50,25% კი სამოქალაქო საქმეებზე მოდის.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იუსტიციის საბჭოს ინსპექტორის აპარატიდან გადაგზავნილი აქვს 2020-2022 წლებში მომზადებული 289 საქმე, რომლებიც საბჭოს სხდომაზე განხილვას საჭიროებს.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის საბჭომ ჩაატარა 2 სადისციპლინო სხდომა, რომლებზეც ინსპექტორის აპარატმა 122 დისციპლინური დასკვნა გადასცა განსახილველად. საბჭომ მიიღო 115 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ და გაიზიარა ინსპექტორის მიერ ამის თაობაზე მომზადებული ყველა რეკომენდაცია. 23 დასკვნიდან, რომლებიც მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებასა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევას შეეხებოდა, 8 საქმეზე იუსტიციის საბჭო დაეთანხმა ინსპექტორის დასკვნას და მოსამართლის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა. 15 საქმეზე კი, შესაბამისი კვორუმის (სრული შემადგენლობის უმრავლესობის) არარსებობის გამო, სამართალწარმოება შეწყდა.

ერთ შემთხვევაში იუსტიციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მისი მხრიდან სამართალწარმოების განხორციელებაში ხელშეშლის გამო. [132]

საანგარიშო პერიოდში საბჭოს საჩივრის განხილვის შეჩერების გადაწყვეტილება არ მიუღია და არც დამატებითი მოკვლევის ჩატარება დაუვალებია ინსპექტორისთვის.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად საჩივრების სიმრავლისა, დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმი არ არის ეფექტიანი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია საჩივრის განხილვა დადგენილ ვადაში, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია საზოგადოების მოლოდინთან, მეორე მხრივ კი - თვით მოსამართლის ინტერესთან, საქმე დროულად დასრულდეს. გაჭიანურებული დისციპლინური სამართალწარმოება, შესაძლოა, ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ქმედით ბერკეტად გადაიქცეს. ამიტომ, საბჭომ საჩივრის განხილვისთვის დადგენილი ვადები უნდა დაიცვას.

[131] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2023 წლის 17 იანვრის №16/4170-03-ო წერილი.
[132] იქვე.

6.4. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია.[133] ამის გათვალისწინებით, ინსპექტორის მიერ სტატისტიკის (საჩივრების რაოდენობა, გადაცდომის სახეები და სხვა) დროულად გამოქვეყნებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საია ამ კუთხით ინსპექტორის სამსახურის ოპერატიულობას დადებითად აფასებს.

პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლითაც მოსამართლეს მიენიჭა უფლება, მოეთხოვა საბჭოს (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ სხდომების გასაჯაროება, რომლებზეც მისი საქმე განიხილებოდა, არავინ იყენებს. ცვლილების ამოქმედებიდან დღემდე, მათ შორის, არც საანგარიშო პერიოდში, ამ შესაძლებლობით არავის უსარგებლია - არცერთ მოსამართლეს სხდომის გასაჯაროება არ მოუთხოვია. მიუხედავად ამისა, ამ ჩანაწერის არსებობა კანონში პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანი ბერკეტია იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც, განსხვავებული შეხედულებების გამო, შესაძლოა, საბჭოს მხრიდან დასჯის ობიექტები აღმოჩნდნენ.

კანონმდებლობით, დისციპლინური სამართალწარმოებისას მიღებული გადაწყვეტილებები 5 დღის ვადაში ეგზავნება საჩივრის (განცხადების) ავტორს და შესაბამის მოსამართლეს.

[133] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75^4-ე მუხლი.

7. საბჭოს ორგანიზება და გამჭვირვალობა

7.1. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება

საბჭომ საანგარიშო პერიოდში 33 სხდომა ჩაატარა.[134] სხდომის შესახებ ინფორმაცია წინა დღეს, ძირითადად, არასამუშაო საათებში იდებოდა საბჭოს ვებგვერდზე. რეგულარულად ირღვეოდა კანონმდებლობის მოთხოვნები სხდომის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის 3 სამუშაო დღით ადრე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.[135] საბჭოს სხდომების გადადება წინა წლებშიც პრობლემური იყო, თუმცა საანგარიშო პერიოდში სხდომებისა და მისი ჩატარების საათის გადადებამ ინტენსიური, სისტემური ხასიათი მიიღო.[136] მაგალითად, 2 ივნისიდან 27 ივნისამდე მხოლოდ ორი სხდომა ჩატარდა. ამ პერიოდში სხდომის თარიღი 9-ჯერ შეიცვალა. ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით პერიოდში საბჭოს სხდომა 31-ჯერ ჩაინიშნა, 11-ჯერ ჩატარდა, ხოლო 20-ჯერ გადაიდო.

ხაზგასასმელია, რომ გადადების შესახებ ინფორმაცია საბჭოს ვებგვერდზე არ იდება და მისი ახალი თარიღით ჩანაცვლება ავტომატურად ხდება.

საია და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციები საბჭოს პერსონალთან კომუნიკაციით ცდილობენ სხდომის გადადების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, თუმცა მათაც ამის შესახებ ხშირად ბოლო წუთამდე არ იციან. შესაბამისად, მონიტორებს ხანგრძლივი ლოდინი უწევთ, სხდომაზე დასწრება რომ შეძლონ.[137]

საბჭომ შეცვალა მის მიერ დადგენილი პოზიტიური მიდგომა, რომელიც დღის წესრიგის საკითხების მცირე განმარტებითი ტექსტებით გამოქვეყნებას გულისხმობდა (იხ. სურათი). შედეგად, დღესდღეობით კვლავ პრობლემურია მათი ზოგადი ფორმულირებები, მაგალითად: „საორგანიზაციო საკითხები“, „მიმდინარე საკითხები“.[138] ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია განსახილველი თემის შინაარსის გამოცნობა. ბუნდოვანი ჩანაწერები და მრავალგზის გადადებული სხდომები საფუძვლიან ეჭვს აჩენს, რომ საბჭოს მნიშვნელოვანი საკითხების დახურულ კარს მიღმა განხილვა ურჩევნია. მსგავსი პრაქტიკა არსებითად ართულებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მუშაობას და ნეგატიურად აისახება საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხზე. **საია მიიჩნევს, რომ უნდა აღდგეს ძველი პრაქტიკა, რათა საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ მიიღოს ინფორმაცია სხდომაზე განსახილველი თემების შესახებ.**

საიამ არაერთხელ მიმართა საბჭოს, საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, უზრუნველეყო საბჭოს სხდომების პირდაპირ რეჟიმში გადაცემა.[139] ამით, ადგილზე მისვლის გარეშე, რეალურ დროში გახდებოდა შესაძლებელი განსახილველი საკითხების მონიტორინგი, თუმცა საბჭომ ეს არ გააკეთა. **მნიშვნელოვანია, საბჭოს სხდომები გადაიცემოდეს პირდაპირი ჩართვის რეჟიმში, რაც ნებისმიერ პირს შესაძლებლობას მისცემს, თვალი ადევნოს სხდომათა მიმდინარეობას.**

---

[134] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №57/4171-03-ო წერილი.

[135] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[136] 17 მაისს დანიშნული საბჭოს სხდომა გადაიდო 18 მაისს, მაგრამ არ ჩატარდა და კვლავ გადაიდო. 19 მაისის 2 საათზე დანიშნული სხდომის ჩატარების დრომ გადაიწია 17 საათისთვის. საბოლოოდ, სხდომა არ ჩატარდა. ასევე, 30 მაისს დანიშნული სხდომა გადაიდო 31 მაისს, შემდეგ 1-ელ ივნისს.

[137] მაგალითად, 30 ნოემბრის სხდომა, რომელიც 14:30 იყო დანიშნული, 19:30 წუთზე, 5 საათის დაგვიანებით დაიწყო.

[138] 2022 წლის 30 ნოემბრის საბჭოს სხდომის ოქმი.

[139] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 8 აპრილის №g-04/51-20 წერილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი 18:00, 18 ოქტომბერი, 2022

ჩამოტვირთვა

1. მიმდინარე საკითხები

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

2. „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენცია, „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმი და გამომდინარე კანონპროექტები

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

3. იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები

მომხსენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ცხრილში ნაჩვენებია, რომ საკითხები დღის წესრიგში ზოგადი ფორმულირებითაა შეტანილი.

7.2. სხდომების მომზადება

რეგლამენტის თანახმად, სხდომებს ამზადებს და წევრებისთვის მასალების დროულ მიწოდებას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი, თუმცა არაფერია ნათქვამი, ვინ ადგენს და ამტკიცებს დღის წესრიგს.[140] ასევე მდივანი აგზავნის საბჭოს დოკუმენტაციას დანიშნულებისამებრ,[141] მაგრამ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალების დარიგების ვადა განსაზღვრული არ არის.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ საბჭოში შესული დოკუმენტები წევრებს ავტომატურად არ ეგზავნებათ. ეს მათ ხელს უშლის, საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვონ ამა თუ იმ საკითხის დღის წესრიგში შეტანა. **იმ პირობებში, როდესაც საბჭოში ვაკანტურია 5 არამოსამართლე წევრის ადგილი, სხდომაზე თითქმის არ იმართება დებატები. მომხსენებელი წარმოადგენს საკითხს და საბჭოს წევრები ერთხმად უჭერენ მას მხარს.**

ამ გამოწვევების დასაძლევად, აუცილებელია, საბჭოს რეგლამენტმა გაითვალისწინოს: საბჭოს მდივნის მიერ სხვა წევრებისთვის იმ განცხადებებისა და პროექტების გადაცემის ბოლო ვადა, რომელთა განხილვაც უახლოეს სხდომაზე იგეგმება; წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის წესი; დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი; საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება.

[140] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[141] იქვე, „ზ“ ქვეპუნქტი.

7.3. სხდომის მართვა

საბჭოს სხდომას უძღვება თავმჯდომარე ან მდივანი,[142] თუმცა დღემდე არ არის მოწესრიგებული სხდომის წარმართვასთან დაკავშირებული არაერთი პროცედურა. მოსაზრების გამოსათქმელად საბჭოს წევრი ვალდებულია, ანიშნოს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც გამომსვლელთა რიგითობას ადგენს. რეგლამენტში არ წერია, რა დრო ეთმობა საბჭოს თითოეულ წევრს პოზიციის გამოსახატად, რამდენჯერ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე გამოსვლა და დამატებით რამდენი წუთი უნდა მიეცეს წევრს განცხადების გასაკეთებლად. ამ საკითხების მოუწესრიგებლობა ხშირად იწვევს შინაარსობრივი დისკუსიის მიღმა არსებული ასპექტების განხილვას, რაც ხელს უშლის კონკრეტულ თემებზე ეფექტიანი და საქმიანი მსჯელობის წარმართვას. **აუცილებელია, დეტალურად მოწესრიგდეს საბჭოს თითოეული წევრის მიერ საკითხზე აზრის გამოთქმის პროცედურა.**

რეგლამენტით, ასევე სათანადოდ არ არის დარეგულირებული გარეშე პირთა მოწვევისა და სხდომაზე დამსწრეთა გამოსვლის შესაძლებლობა, რადგან **არ შესრულდა რეკომენდაცია სხდომებზე დამსწრე პირების მხრიდან აზრის გამოთქმის წესის განსაზღვრის შესახებ**.[143]

7.4. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

გამჭვირვალობის კიდევ ერთი კომპონენტია საბჭოს სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა. რეგლამენტის მიხედვით, ოქმი უნდა ასახავდეს: ვინ მოიწვია სხდომა, სხდომის მოწვევის თარიღს, დაწყების დროსა და ხანგრძლივობას, სხდომის მონაწილეთა და თავმჯდომარის ვინაობას, მომხსენებლისა და კამათში მონაწილეთა გამოსვლების შინაარსს, გამოთქმულ არგუმენტებს, მიღებულ გადაწყვეტილებას და, ასევე, ვინ რას მისცა ხმა.[144]

ოქმების საწარმოებლად 2018 წლიდან გამოიყენება სპეციალური აუდიოსისტემა, თუმცა აუდიოოქმები სხდომის დარბაზში არსებულ რეალობას სრულფასოვნად ვერ ასახავს. ოქმები ცუდი ხარისხით ქვეყნდება. ზოგ შემთხვევაში არ არის ნათელი, რა საკითხებზე იმსჯელეს საბჭოს წევრებმა, ზოგჯერ კი ოქმში არ არის შესული ყველა ასპექტი, რომლებიც სხდომაზე განიხილეს.

კანონით გათვალისწინებულია გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი, რომლებიც ვებგვერდზე უნდა განთავსდეს.[145] რეგლამენტის შესაბამისად, ისინი ოფიციალურ ვებგვერდზე უნდა აიტვირთოს მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო კონსოლიდირებული ვერსიები - ცვლილებიდან არაუგვიანეს 14 დღის პერიოდში.[146] პრობლემად რჩება საბჭოს გადაწყვეტილებების დროულად გამოქვეყნება. საბჭოს რეგლამენტით, გადაწყვეტილებები მის ვებგვერდზე ქვეყნდება მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. თუმცა, ეს ვადები მუდმივად ირღვევა. მაგალითად, 27 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ერთი თვის მერეც არ იყო ვებგვერდზე ატვირთული. გარდა ამისა, არ გამოქვეყნებულა 2 ივნისის სხდომაზე მიღებული

[142] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-16 პუნქტი.
[143] ნინო ნოზაძე, ოლღა შერმადინი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, გვ. 68.
[144] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი.
[145] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[146] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლი.

განკარგულებები სამი მოსამართლისთვის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ, ასევე 7 მარტის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად დანიშნული მოსამართლეების შეფასების დასკვნები.

მნიშვნელოვანია, საბჭომ უზრუნველყოს სხდომის ოქმების ხარისხიანი ჩაწერა, ასევე გადაწყვეტილებებისა და ოქმების დადგენილ ვადებში ვებგვერდზე განთავსება. საანგარიშო პერიოდში ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა 10 მაისის, 30 ნოემბრის, 12 და 29 დეკემბრის სხდომის ოქმების ჩანაწერები.

ხარვეზებით მუშაობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის საძიებო სისტემა, რაც ართულებს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა დოკუმენტების ძებნის პროცესს. პრობლემა ვერც საბჭოს ახალი ვებგვერდის ამოქმედებით გადაიჭრა, რომელიც სატესტო რეჟიმში მუშაობს.

რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, საია მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის შექმნის გზაზე მნიშვნელოვანია ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინება.

პარლამენტმა ნორმატიულ აქტებში ცვლილებების გზით უნდა უზრუნველყოს:

- საბჭოში თავმჯდომარეების კვოტის გაუქმება;
- საბჭოს დაკომპლექტებისას გავლენის შესამცირებლად, გენდერული, რეგიონული და ინსტანციური კვოტების (ეს უკანასკნელი კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს) დაწესება;
- საბჭოს არამოსამართლე წევრების დანიშვნა ორმხრივი (ხელისუფლებისა და ოპოზიციის) მხარდაჭერით. გენდერული კვოტების დაწესება;
- პირველი და მეორე ინსტანციების მოსამართლეთა დანიშვნა/უვადოდ გადანიშვნა მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ით;
- სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის შემცირება, თავმჯდომარის არჩევის უფლების თავად სკოლის საბჭოსთვის მინიჭება.
- თავმჯდომარეების არჩევითობა (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში);
- სასამართლოს კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეების (მათი მოვალეობის შემსრულებლების) ადმინისტრაციული პოზიციების გაუქმება;
- ინსპექტორის დანიშვნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3-ის განსაზღვრა;
- დისციპლინური დევნის დაწყებაზე უარის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება;
- დისციპლინური დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების 2/3-ით მიღება.

იუსტიციის საბჭომ უნდა უზრუნველყოს:

- პირველი და მეორე ინსტანციების მოსამართლეთა დანიშვნის დასაბუთებაში კონკრეტული გარემოებების იმგვარად მითითება, რომ დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მოსამართლის კეთილსინდისიერების თაობაზე;
- მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისა და დაწინაურების პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა;
- თავმჯდომარეების დანიშვნისა და წარდგენის გამჭვირვალე პროცედურისა და წესის დადგენა;
- საქმის კოლეგიურად განხილვისას სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების წესის შესაბამისად, ხოლო ვიწრო სპეციალიზაციაში - წილისყრით განაწილება;

- ინსპექტორის შერჩევის საკონკურსო წესის სრულყოფა: შერჩევის კრიტერიუმების, გასაუბრების ჩატარების, კანდიდატის შეფასებისა და დასაბუთების წესების განსაზღვრა;
- დისციპლინური საჩივრების განხილვა კანონით დადგენილ ვადებში;
- სხდომების შესახებ ინფორმაციისა და დღის წესრიგის წინასწარ, კანონით დადგენილ ვადაში გამოქვეყნება;
- საბჭოს წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის, მათი მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პროცედურის, სხდომის დღის წესრიგის შედგენის, იქიდან საკითხის ამოღებისა და დამატების, სხდომაზე მესამე პირების მოწვევისა და დამსწრეთა მიერ აზრის გამოთქმის წესების შემუშავება;
- საბჭოს სხდომების ონლაინრეჟიმში გადაცემა.